





იულონ გაგოჭიძე

ქართული
ქალის
სამკაული

Юлон Гагошидзе

УКРАШЕНИЯ
ГРУЗИНСКОЙ
ЖЕНЩИНЫ

Joulon Gagochidzé

L'ORNEMENT
DE LA FEMME
GÉORGIENNE

391 (47.922) -

ბ-142 -

მ-605

80103 © გამომცემლობა "სელოვნიეზა", 1981 წელი
გამს. ბრძ. № 707—81



მართველი ქალის მშვენება ძველთაგანვეა ცნობილი, ქალი და სამკაული კი განუყოფელია. ქართველი ქალის სამკაულიც მისი სილამაზის შესაფერისი იყო მუდამ.

უცნობ ქართველ ხელოსანთა უამრავი თაობა ქმნიდა ოქრომჭედლობის უბაღლო ნიმუშებს, რომლებიც ოდესღაც ქართველ ქალს ამკობდნენ, დღეს კი მუზეუმების საგანძურთა სიამაყეს შეადგენენ.

ეს წიგნი გაგვაცნობს სამკაულს, რომელსაც ქალი ატარებდა საქართველოში ქვის ხანიდან ჩვენს დრომდე. ამ სამკაულის უდიდესი ნაწილი დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზეა შექმნილი, ნაწილი კი უცხოური ნაწარმია. მაგრამ ერთიც და მეორეც ქართველი ქალის ნაქონია და მისი გემოვნების განვითარების ეტაპებს ასახავს.

მართალია, ქვის ხანის ქალის სამკაულზე საუბარი ძნელია, მაგრამ სამკაულის განვითარების ერთიან სურათს რაღაც მნიშვნელოვანი დააკლდებოდა, ადამიანის ისტორიის გარეყრაზე პირველქმნილი, პრიმიტიული სამკაულიც რომ არ წარმოგვედგინა ანტიკური და შუა საუკუნეების ოქრომჭედლობის შედეგებთან ერთად...

მიუხედავად ამისა, ამ წიგნს სამკაულის განვითარების სრული და სისტემატური ისტორიის გადმოცემის პრეტენზია არა აქვს და იგი ვერც სამკაულთა იმ ზღვა მასალას ამოწურავს მთლიანად, რომელიც ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ფონდებშია დაცული. აქ მხოლოდ ყოველი ეპოქისათვის ტიპური და შეძლებისდაგვარად საუკეთესო ნიმუშია შერჩეული საილუსტრაციოდ.

სამკაულის ისტორიის საწყისები წარსულ ათასწლეულთა წიაღში იკარგება. ვერავინ იტყვის, როდის შეიმკო პირველად თავი პირველყოფილმა ადამიანმა. მაგრამ უეჭველია, პირველი სამკაული ის იყო, რასაც ბუნება მზამზარეულად აძლევდა ადამიანს: მცენარეთა რტოები და ნაირფერი ყვავილები, ცხაღია, ფოთლები და ყვავილები საკუთრივ სამკაულად არ შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ არც ის უნდა დაგვაფიქვდეს, რომ ყვავილებითა და მცენარეული რტოებით შემკობის წესი კაცობრიობას დღემდე გამოჰყვა. საკმარისია გავიხსენოთ, რომ გამოჩეულ პირებს დღესაც კი დაფნის გვირგვინით აჯილდოებენ ზოლმე. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ნამდვილი, ადამიანის ნახელავი სამკაულიც თავისი შინაგანი ბუნებით მეტად „კონსერვატიულია“, თუმცა მისი გარეგნული ფორმა ადვილად ცვალებადობს. პალეოლითის ხანაში ადამიანმა პირველად გახვრიტა და ყელზე სამკაულად ჩამოიკიდა სხვადასხვა ცხოველთა კბილები და ხმელეთისა თუ წყლის მოლუსკების ნიჟარები. რამდენიმე ათეული ათასი წლის წინ დამზადებულ ზოგიერთ ამგვარ ყელსაბამს დღემდე არ დაუკარგავს ესთეტიკური მიმზიდველობა.

სპილენძ-ბრინჯაოს ხანიდან მოკიდებული (ძვ. წ. IV-II ათასწლეული), როცა ადამიანი ლითონს დაეუფლა, სამკაულის

წარმოებაშიც უპირველესი ადგილი დაიმკვიდრა ლითონმა, განსაკუთრებით კი — კეთილშობილმა ლითონმა (ოქროს და ვერცხლმა). ამის ძირითადი მიზეზი გახლდათ ოქროსა და ვერცხლის მიმზიდველი ფერი და ბზინვარება, მათი ქიმიური მდგრადობა და პრაქტიკულად უცვლელიობა. გარდა ამისა, ორივე ეს ლითონი, განსაკუთრებით კი ოქრო, არაჩვეულებრივად პლასტიკურია, რის გამოც ისინი შეუცვლელი მასალებია სამკაულთა წარმოებაში.

ოქრომჭედლობა, როგორც ხელოსნობის დარგი, წარმოშობიდანვე მნიშვნელოვანწილად სწორედ სამკაულთა წარმოებას ემსახურებოდა. ამრიგად, ოქრომჭედლობის განვითარების ისტორია ძირითად მომენტებში არსებითად ემთხვევა სამკაულის ისტორიას.

ბრინჯაოს ხანაში საბოლოოდ ჩამოყალიბდა სამკაულთა ძირითადი სახეობები — სათითებ-ბეჭედი, სამაჯური, გულსაკადი, ყელსაბამი, საყურე და დიადემა (შუბლის სამკაული) და შეიქმნა გარნიტურის, ანუ ერთი ხელი სამკაულის ცნება, რომელსაც დღემდე არ განუცდია არსებითი ხასიათის ცვლილება. საუკუნეთა განმავლობაში თანდათან იცვლებოდა სამკაულის მასალა, ფორმა და სტილი, მაგრამ უცვლელი რჩებოდა სამკაულთა ძირითადი კომპლექტი.

სამკაულს, როგორც ჩანს, თავიდანვე ორმაგი დანიშნულება ჰქონდა — მხატვრულ-ესთეტიკური და ნიშნადი.

მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისით სამკაულის ერთადერთი დანიშნულებაა ადამიანის გალამაზება. ამდენად, სამკაულის ფორმა და ხასიათი დროთა განმავლობაში საკმაოდ სწრაფად და ხშირად იცვლებოდა ქალის სილამაზის ეპოქალური იდეალისა და ჭირვეული მოდის ცვალებადობის კვა-

ლდაკვალ. ნიშნადი ბუნება სამკაულისა კი გაცილებით უფრო რთულია და მრავალსახა, მაგრამ უფრო კონსერვატიულიც.

სამკაულს ხადითგანვე ჰქონდა ავგაროზის მნიშვნელობა. ითვლებოდა, რომ თუ ადამიანი სამკაულად ატარებდა ღვთაების ან მისი რაიმე ატრიბუტის გამოსახულებას, იგი ეზიარებოდა ამ ღვთაებას. მისი მფარველობის ქვეშ შედიოდა და ცუდი იქნებოდა ყოველი ავისაგან. განსაკუთრებული ზებუნებრივი ზემოქმედების ძალა მიეწერებოდა ცხოველთა კბილებსაც, ზოგიერთ მინერალს და სხვა.

შუა საუკუნეების ქრისტიანულ ქვეყნებში სამკაულთა შორის საპატიო ადგილი დაიკავა ჯვარმა, როგორც ქრისტეს სიმბოლომ. მაგრამ არც ძველ, ათასწლეულების სიღრმიდან მომდინარე რწმენა-წარმოდგენებს დაუკარგავთ მნიშვნელობა ამ დროს. პირიქით, სწორედ შუა საუკუნეებში, ალქიმისა და ასტროლოგიის განვითარებასთან ერთად, განსაკუთრებულად დამუშავდა ფერადი ქვების სიმბოლიკა, როდესაც ყოველ ზოდიაქოს ერთი რომელიმე მინერალი დაუკავშირეს. გადმონათის სახით ეს წარმოდგენები დღესაც კი ცოცხლობს.

სამკაულს ძველ დროში ეთნიკური თუ სოციალური მდგომარეობის განმასხვავებელი ნიშნის, ანუ ინსიგნიის ფუნქციაჲ ჰქონდა და მას მამაკაცებიც ატარებდნენ. ბეჭედი, სამაჯური, ყელსაბაძი და საყურე ერთხანს ისეთივე აუცილებელი ელემენტი გახდა წარჩინებული მამაკაცის მორთულობისაც.

საქართველო სამართლიანად ითვლება ლითონის დამუშავების ერთ-ერთ უძველეს კერად მსოფლიოში. საქართველოს მიწის წიაღი მდიდარია მადნეული რესურსებით, ხოლო არქეოლოგიური მასალები მოწმობენ, რომ აქ ადამიანი ლითონს (სპილენძს) პირველად ჯერ კიდევ ძველ წელთაღრიცხვით IV ათასწლეულში გაეცნო. ძვ. წ. III ათასწლეულში სა-

ქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ტომებმა უკვე იცოდნენ ბრინჯაოს დამზადება. ამავე ხნიდანვე ეუფლებიან ისინი სხვა ლითონებსაც: ტყვიას, ვერცხლსა და ოქროს. ვერცხლმა და ოქრომ თავიდანვე საპატიო ადგილი დაიკავეს სამკაულთა წარმოებაში.

საქართველოს ტერიტორიაზე გათხრილ ადრებრინჯაოს ხანის ყორღანებში აღმოჩენილი ოქროს უძველესი სამკაულის განხილვა გვიჩვენებს, რომ ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის აქაური ოქრომჭედლები უკვე ფლობდნენ ლითონის მხატვრული დამუშავების უმთავრეს ხერხებს — ჭედვას, ჩამოსხმასა და რჩილვას. თრიალეთში აღმოჩენილი ოქროს საკინძის ორმაგი ხეის ფორმის თავი პუნსონით გამოყვანილი მარტივი გეომეტრიული ორნამენტითაა შემკული. ოქროს ამავე ფორმის საკინძი კი, რომელიც ბედენში აღმოჩნდა, — ჩამოსხმულია. ვოლუტებიანი საკინძები სამკაულის ერთ-ერთი უძველესი და კავკასიაში საკმაოდ ფართოდ გავრცელებული ტიპია. ბრინჯაოსაგან დამზადებული ამ ფორმის საკინძები საქართველოში ბევრგან არის აღმოჩენილი.

აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ იმ დროს საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე საზოგადოება აღარ იყო სოციალურად ერთგვაროვანი. მასში გამოყოფილია მმართველი ზედა ფენა, რომელიც ქონებრივადაც განსხვავდებოდა მოსახლეობის ძირითადი მასისაგან, საზოგადოების ზედა ფენის წარმომადგენლები ოქროს სამკაულს ატარებდნენ, მასობრივად კი სპილენძისა და ბრინჯაოს სამკაული იყო გავრცელებული. ეს სხვაობა კიდევ უფრო გაღრმავდა მომდევნო ეპოქებში, როდესაც კლასობრივი საზოგადოება ჩამოყალიბდა.

ოქრომჭედლობამ პირველი დიდი აღმავლობა საქართველოს ტერიტორიაზე განიცადა ძვ. წ. II ათასწლეულის პირ-

ველ ნახევარში. ამ ხანის სამკაულთა უბრწყინვალესი ნიმუშები დიდი რაოდენობით აღმოჩნდა თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის მდიდრულ ყორღანებში. ისტორიულად შუაბრინჯაოს ხანა ტომთა დიდი, სახელმწიფოებრივი ტიპის გაერთიანებების წარმოქმნის პერიოდია საქართველოში და თრიალეთის ყორღანებშიც სწორედ ამ გაერთიანებათა ბელადებია დაკრძალული მეფური პატივით.

თრიალეთის ოქროს ნივთებზე შეიძლება ითქვას, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს საკმაოდ განვითარებულ ოქრომჭედლობასთან. რომელიც უკვე ხელოვნების დონემდე ამალლებულა. მართლაც თითქმის ყველა ტექნიკური ხერხი, რაც კი ოდესმე გამოყენებულა ქედურობაში თრიალეთელი ხელოსნებისათვის უკვე ცნობილი იყო — თრიალეთელი ოქრომჭედლები იყენებდნენ ოქროს ნივთების მხატვრული დამუშავების ნაირნაირ ხერხებს, როგორცაა გვარსი ანუ გრანულაცია, ე. ი. ნივთის შემკობა ზედ დარჩილული ოქროს წვრილი ბურთულებით; გრეხილური, ანუ ფილიგრანი, ე. ი. ნივთის შემკობა ოქროს მავთულებით; ამზადებდნენ დაფანჯრულ (ჭვირულ, აყურულ) და ფუყე ნივთებს; საკმაოდ ფართოდ მიმართავდნენ ფერადი თვლების ინკრუსტაციასაც.

თრიალეთის მონაპოვარში გვერდიგვერდ არსებობენ მარტივი და რთული ტექნიკით დამზადებული ნივთები. იგივე თითქმის მათ მხატვრულ მხარეზეც — ერთი და იგივე სამარხებში გვხვდება სტილისტურად მკვეთრად განსხვავებული ნაწარმი: ერთი მხრივ, სადა ოქროს თხელკედლიანი საკიდები და, მეორე მხრივ, პოლიქრომიული სტილის ყელსაბამი. ეს გარემოება საშუალებას არ გვაძლევს დავინახოთ ტექნიკური ხერხების თანდათანობითი განვითარების სურათი, მითუმეტეს, რომ თრიალეთის ოქროს ნაწარმში ქრონოლოგიურად

ყველაზე ძველია ოქრომქედლური ტექნიკის ურთულესი ხერხების გამოყენებით დამზადებული ნივთი — პოლიქრომი-ული ყელსაბამი, რომელიც ძვ. წ. XIX საუკუნით თარიღდება. ყელსაბამის ძირითადი ნაწილია ოქროს კულონი — გავარსითა და სერდოლიკის თვლებით შემკულ ჩარჩოში ჩასმული სივრცით გახვრეტილი ბრტყელი აქატი. ყელსაბამი შედგენილია სხვადასხვა ზომის ოქროს 14 ფუყე მძივისაგან, რომელთა შემკულობაში გამოყენებულია წვრილი და მსხვილი ჯავარსი, გრეხილური, პუნსონი, ინკრუსტაცია. პირდაპირი ანალოგია მხოლოდ თრიალეთური ყელსაბამის კულონს ეძებნენ. ესაა ურუკში (ძველი შუამდინარეთი) აღმოჩენილი ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანების ასეთივე ჩარჩოში ჩასმული აქატის კულონი. პუნსონით შემკული თრიალეთურის მსგავსი ოქროს მძივები მაიკოპის ცნობილ ყორღანშიცაა აღმოჩენილი (ძვ. წ. III ათასწლეული).

▲ ფერადი თვლების ინკრუსტაცია უკვე ურის სამეფო სამარხებშია დადასტურებული (ძვ. წ. III ათასწლეული) და ინკრუსტაციის ტრადიცია შემდეგაც მუდამ ცოცხლობდა აღმოსავლეთში. რაც შეეხება გავარსს, უნდა ითქვას, რომ თრიალეთური ყელსაბამი ნამდვილი გავარსით შემკული ერთ-ერთი უძველესი ნივთია მსოფლიოში. დაახლოებით ამავე ხანით თარიღდება უძველესი გავარსიანი ნივთები ეგვიპტიდან, ირანის ზეგნიდან და ტროადან. ძველი ტრადიციების გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ თრიალეთური ოქროს სასაფეთქლე საკიდები. სპილენძისა და ოქროს ერთ-ნახევარსპირალური ხვიები ფართოდ გავრცელებული სამკაულია ძვ. წ. III ათასწლეულის კავკასიაში. ცნობილია მათი პარალელები წინა აზიიდანაც.

ამრიგად, უკვე ძვ. წ. XX-XV საუკუნეებში მელითონეობის დიდი პროგრესი და ეკონომიკურ-სოციალური ვითარება საქართველოს ტერიტორიაზე იწვევს ოქრომკვდლობის იმდენად დიდ აყვავებას, რომ მას ხელოვნების დონემდე ამაღლებს. თავის მხრივ, ეს მოვლენა მოწმობს, რომ კავკასიაში მოსახლე ქართველთა წინაპარი ტომები უკვე გამოხსული არიან ფართო ისტორიულ სარბიელზე.

ოქრომკვდლობის განვითარება, ისევე როგორც ხელოვნების სხვა ნებისმიერი დარგისა, არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო საქართველოშიც სწორხაზოვანი, ერთი აღმავალი ხაზით მიმართული. ოთხიათასწლიანი ისტორიის მანძილზე ოქრომკვდლობამ საქართველოში განიცადა აღმავლობის რამდენიმე პერიოდი, რომელთაც შედარებით დაქვეითება-დაცემის ბნელი პერიოდები სცვლიდა. დამახასიათებელია, რომ ხელოვნების ყოველი აღმავლობა თან სდევდა და ემთხვეოდა ქართული ტომებისა და სახელმწიფოების განსაკუთრებული პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ძლიერების პერიოდებს.

ოქრომკვდლობის პირველი დიდი აღმავლობა ემთხვევა საქართველოში ტომთა გაერთიანებების წარმოშობის პერიოდს. აყვავების შემდგომი ეტაპი კი მოდის ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებზე, როდესაც ჩამოყალიბდა პირველი ქართული სახელმწიფოები.

ძველი საქართველო ცივილიზებული სამყაროს ორგანული ნაწილი იყო ყოველთვის. ამიტომ ქართული ოქრომკვდლობაც განვითარების ყველა საფეხურზე კანონზომიერად ატარებდა თავისი ეპოქის ნიშნებს, მაგრამ ამავე დროს მას ჰქონდა ეროვნული თავისებურებებიც, რომლებიც, ერთი მხრივ, განასხვავებდა ქართველთა ნახელავს მათი თა-

ნადროული უცხოური ნაწარმისაგან, მეორე მხრივ, კი აკავშირებდა საქართველოში სხვადასხვა დროს შექმნილ ძეგლებს, როგორც განვითარების საერთო კიბის ცალკეულ საფეხებებს. ამ ეროვნულ თავისებურებათა დანახვა და, რაც მთავარია, ჩვენება არ არის იოლი საქმე საერთოდ და განსაკუთრებით კი გამოყენებითი ხელოვნების ისეთ დარგში, როგორცაა სამკაულთა წარმოება, რომელიც დიდადაა დამოკიდებული მოდაზე. მოდა კი, როგორც ცნობილია, თავს იშვიათად იზღუდავს. ეთნიკური და სახელმწიფოებრივი საზღვრებით.

ოქრომკვდლობის თრიალეთურ ნაწარმში უკვე შეიმჩნევა ზოგიერთი ისეთი ნიშანი, რომელიც მიყვება ქართულ ოქრომკვდლობას მთელი მისი განვითარების მანძილზე და, ამდენად, მის ეროვნულ-განმასხვავებელ თავისებურებად შეიძლება მივიჩნიოთ. ესაა, უპირველეს ყოვლისა, ფერების თავშეკავებული გამოყენება და მათი გარკვეული შერჩევა-შეხამება. ქართველი ხელოვანი მუდამ გაუბრბოდა ცივ, კაშკაშა ტონებს და ერთ ნივთში იშვიათად ხმარობდა ორზე მეტ ფერს. ქართული ოქრომკვდლობის ნიმუშებიც არასოდეს ყოფილა ჭრელი.

ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარი და I ათასწლეულის დასაწყისი ტომთაშორის ბრძოლებითა და შუღლით აღსავსე შფოთიანი პერიოდი იყო საქართველოს ისტორიაში. ამ პერიოდის ოქრომკვდლობის ჩვენთვის ცნობილი მცირერიცხოვანი ნიმუშები აგრძელებს თრიალეთურ ტრადიციებს, მაგრამ ოქროს სამკაულის მასობრივი წარმოება არ ჩანს.

სამკაული ამ დროს კეთდება, ძირითადად, ბრინჯაოსაგან, რომლის წარმოება ამ ხანაში ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აღის წინა პერიოდთან შედარებით. ჩნდება ტანსაცმელთან

დაკავშირებული ნივთების ადრე უცნობი ტიპები, მათ შორის ე. წ. სუბმიკენური ტიპის ფიბულები, რომლებიც მიგვანიშნებენ ეგეოსურ სამყაროსთან ქართველ ტომთა ეპიზოდურ კონტაქტებზე.

გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანაში საკმაოდ პოპულარული გახდა ადგილობრივი, ნახევრადდაუმუშავებელი სერდოლიკის კენჭებისგან შედგენილი ყელსაბამები. ჩნდება მინისა და მინისებური პასტის მძივებიც.

ძვ. წ. VII-VI საუკუნეებში ქართულ ოქრომჭედლობას გამოცოცხლება დაეტყო. ჩვენს ხელთაა ამ პერიოდის რამდენიმე არქეოლოგიური კომპლექსი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, რომლებიც გავარსით მდიდრულად შემკულ ოქროს ნივთებს შეიცავენ. ეს ნივთები მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს როგორც ფორმებით, ისე სტილისტურად, დამზადების ტექნიკისა და დეკორატიული ხერხების ერთიანობით. შეიძლება ითქვას, რომ ნივთების ამ ჯგუფის სახით საქმე გვაქვს ოქრომჭედლობის სავსებით ჩამოყალიბებულ, გამოკვეთილ სკოლასთან, რომელიც აღჭურვილია მხატვრული შემკობის ხერხთა გარკვეული არსენალით. ეს არსენალი მთლიანად გადაეცა მომდევნო, ადრეანტიკური ხანის ქართულ ოქრომჭედლობას.

ამავე დროს ადრეული რკინის ხანის ქართული ოქრომჭედლობის ეს სკოლა ავლენს შეხების წერტილებს, ერთი მხრივ, წინააზიურ (მანა, ურარტუ), მეორე მხრივ, კი დასავლურ ანატოლიურ და ორიენტალიზებული სტილის იონურ ოქრომჭედლობასთანაც. უფრო ძნელად ასახსნელია ქართული ოქრომჭედლობის ნაწარმის ერთგვარი მსგავსება მის თანადროულ ეტრუსკულ ნაწარმთან.

წინა აზიასთან გაცხოველებული კულტურულ-ეკონომიკური კავშირების მანიშნებელია შესანიშნავად გაპრიალებული მუქი მოწითალო-ყავისფერი სარდიონის სფერული მძივები-საგან შედგენილი ყელსაბამების ფართოდ გავრცელება ძვ. წ. VII საუკუნის საქართველოში.

იმ მხატვრულ არსენალში, რომელიც ადრეული რკინის ხანის ქართული საოქრომჭედლო სკოლის თავისთავადობას ქმნის, უმთავრესია გავარსი და მისი დაწყობის წესი — ბადეები, სამკუთხედების სისტემები, სვასტიკა. ყველაფერი ეს უხვადაა წარმოდგენილი ჭუბურხინჯში, ფარცხანაყანეეში, ყაზბეგში, ცხინვალსა და საქორქოში აღმოჩენილ ძვ. წ. VII-VI საუკუნეების საკიდებსა და საყურეებზე, რომელთა პირდაპირი შემკვიდრება ადრეანტიკური ხანის ქართული სამკაული, კერძოდ კი — სხივებიანი საყურეები.

ადრეანტიკური ხანა (ძვ. წ. V-IV სს) პირველი ქართული სახელმწიფოების — კოლხეთისა და იბერიის ჩამოყალიბების ხანაა. ამ პერიოდს დაემთხვა ქართული ოქრომჭედლობის ახალი, რიგით მეორე აღმავლობა.

საქართველოს ტერიტორიაზე უკანასკნელ წლებში სისტემატური არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია ადრეანტიკური ხანის სამკაულის ათასობით ბრწყინვალე ნიმუში. განსაკუთრებით დიდი რაოდენობის საოქრომჭედლო ნაწარმი აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარში. 1961 და 1969 წლებში აქ გათხრილმა მდიდრულმა სამარხებმა მოგვცა წარჩინებული ქალის სამკაულის რამდენიმე სრული კომპლექტი, რომლებიც შეიცავენ ჭედური ორნამენტით შემკულ თავისებურ დიადემებს, სხვადასხვა ფორმის საყურეებსა და სასაფეთქლე საკიდებს, ყელსაბამებსა და სამაჯურებს.

ღვანის სამარხებში აღმოჩენილი ოქროს სამკაულის ერთგვაროვან მასაში გარკვევით გამოირჩევა ცხოველთა თავებით შემკული ზურგშედრეკილი სამაჯურების სტილისტურად განსხვავებული ერთი ჯგუფი, რომელსაც აქემენიდური ხელოვნების აშკარა დალი აზის. სამაჯურის ბოლოებზე გამოსახული ცხოველების თვალების, პირისა და ყბების მოდელირება წმინდა სპარსულია და ახასიათებს აქემენიდური ხანის როგორც მცირე² ხელოვნების ძეგლებს, ისე მონუმენტურ სკულპტურასაც. ზურგშედრეკილი და ცხოველის თავებით დაბოლოებული სამაჯურების სამშობლოდ აქემენიდური ირანია მიჩნეული. აქედან გავრცელდა სამაჯურთა ეს ტიპი სხვა ქვეყნებში, მათ შორის — საქართველოშიც. აქემენიდი მეფეები განსაკუთრებული პატივისა და კეთილგანწყობილების ნიშნად ოქროს სამაჯურებსა და საკისრე რკალებს უბოძებდნენ ხოლმე წარჩინებულ პირებს. ვინ იცის, იქნებ ამ გზით მოხვდა ჩვენი სამაჯურებიც კოლხეთში. კოლხეთი, როგორც ცნობილია, აქემენიანთა იმპერიის ორბიტაში იყო მოქცეული.

ზურგშედრეკილი სამაჯურების წარმოება სულ მალე აქაც დაიწყეს და სამაჯურების ეს ტიპი ჩვეულებრივი გახდა საქართველოსათვის. მათი წარმოება საქართველოში გრძელდებოდა კიდევ დიდხანს, მაშინაც კი, როცა საკუთრივ ირანში სამაჯურთა ეს ტიპი კარგა ხანია დავიწყებას მიეცა. ვფიქრობ, არ არის საჭირო იმის აღნიშვნა, რომ ამ ოთხასი წლის განმავლობაში რაც ზურგშედრეკილი სამაჯურები საქართველოში მზადდებოდა, მათ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადეს.

კიდევ ერთი სიახლე, რაც აღრეანტიკური ხანის ქართულ ოქრომჭედლობაში გაჩნდა, ესაა ფარაკიანი საბეჭდავი ბეჭდები, რომელთა წარმოების საწყისები უთუოდ უკავშირდება არქაული ხანის ბერძნული ფარაკიანი ბეჭდების იმპორტს

საქართველოში. ოქროსა და ვერცხლის ბეჭდების ფარაკებზე ადრეანტიკურ ხანაში გამოსახავდნენ ღვთაებებსა და მათ ატრიბუტებს. ასეთი ბეჭდები მარტო სამკაული არ იყო. ისინი საჭეკდავებად იხმარებოდნენ და, ამდენად, ინსიგნიებსაც წარმოადგენდნენ.

უდავოდ ინსიგნიების კატეგორიას განეკუთვნება გრეხილი დიადემებიც, რომელთა გაბრტყელებულ რომბულ ბოლოებზე დაბალი ქედური რელიეფით გამოყვანილია ცხოველთა ბრძოლის სცენები. მიუხედავად იმისა, რომ ანალოგიური სიუჟეტები ფართოდაა გავრცელებული მთელს ანტიკურ სამყაროში და ტიპიურია აქიმენიდური ხელოვნებისთვისაც, ვანში აღმოჩენილ დიადემებს გააჩნია მთელი რიგი ისეთი ნიშნებისა, რომლებიც უეჭველს ხდიან მათ ადგილობრივ, ქართულ წარმოშობას. თვით დიადემების ტიპიც ადგილობრივია და საქართველოს გარეთ არ არის ცნობილი, მაშინ როცა ისეთივე ვერცხლისა და ბრინჯაოს დიადემები საქართველოს სხვადასხვა კუთხეშია აღმოჩენილი. მაგრამ ამჯერად ჩვენთვის ყველაზე მეტად საყურადღებო და საინტერესო მაინც ვანში აღმოჩენილი ოქროს გავარსიანი ნივთებია, რომლებიც აგრეთვე ადგილობრივი, ქართული ნახელავია. არასოდეს არც მანამდე და არც ადრეანტიკური ხანის შემდეგ არ უკეთებიან საქართველოში ასეთი გავარსი. პირდაპირ გაოცებას იწვევს, რა ხელმა შესძლო 0,1-0,2 მმ დიამეტრის მქონე ოქროს ბურთულების ასეთი სიზუსტით დასხმა და დარჩილვა ნივთების ზედაპირზე. შუქ-ჩრდილის უნატიფესი თამაში ისეთ გავარსიან ნივთებზე, როგორიცაა, მაგალითად, კუს გამოსახულებით შემკული ყელსაბამი, ნამდვილი ფერადოვნების ეფექტს იძლევა. მხატვრული თვალსაზრისით, გავარსი პოლიქრომიის შემცველია და ოქრომჭედლობაში იმავე როლს ასრულებს ~~სა~~

საც ფერადი ინკრუსტაცია — აცოცხლებს, ასხივოსნებს ოქროს ზედაპირს. გავარსიანი ოქროს ნაწარმი არასოდეს ახდენს სიმდიდრის შთაბეჭდილებას.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აღმოჩენილი ამავე დაცოცხლებული ფერადი მოგვიანო ხანის (ძვ. წ. V-IV სს.) ოქროს სამკაულის საუკეთესო ნაწილიც გავარსიანია. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალგორის განძის ცხენის გამოსახულებებიანი სასაფეთქლე საკიდები და საყურეები, აგრეთვე, ფომბეშოებიანი ყელსაბამი. სწორედ ამგვარ ნაწარმში ჩანს ქართული ოქრომჭედლობის ნამდვილი სახე და ინდივიდუალობა. მართალია, ახალგორის სასაფეთქლეებს ატყვია აქემენიდური ხელოვნების ერთგვარი გავლენა (ცხენის თავების დამუშავების მანერა, დაკბილული ქონგურები ცხენების სადგარზე), ხოლო მრგვალი საყურის საერთო ფორმა წარმოშობით ირანულია, სტილისტურად როგორც ერთი, ისე მეორე ნივთი მკვეთრად განსხვავდება საკუთრივ სპარსულ-აქემენიდური ნაწარმისაგან და უდავოდ ადგილობრივი, ქართული ნახელავია. ამაზე, უპირველეს ყოვლისა, გავარსის უხვი ხმარება მიუთითებს.

ადრეანტიკურ ხანაში სამკაულის წარმოებისას ქართველი ოქრომჭედლები იშვიათად მიმართავდნენ ფერადი ქვების ინკრუსტაციას, ფერადი ქვით შემკული სულ თითო-ორი ნივთია ცნობილი ამ ხანის საქართველოდან და ამ მხრივ საესებით განცალკევებით დგას ვანში აღმოჩენილი პოლიქრომიული გულსაკიდი ფირფიტა, რომელზედაც ფერადი ფრინველები და ფასკუნჯებია გამოსახული. ვანის ფირფიტის პოლიქრომია არ შეიძლება ჩაითვალოს ადგილობრივი, თრიალეთური პოლიქრომიის ტრადიციების გაგრძელებად. მათ შორის პრინციპული ხასიათის სხვაობაა. თუ თრიალეთური ფერადი

ინკრუსტაცია ოქროს ნივთების ზედაპირზეა მიმოფანტული და ნივთის შემკობის ერთ-ერთი ხერხია, ვანის ფირფიტა თვითაა ფერადი და მასზე ოქრო მხოლოდ ერთ-ერთი, სხვათა თანაბარი ფერადი ელემენტი. ვანის გულსაკიდი ოქროს თხელი ფირფიტაა, რომელზედაც ოქროსავე ტიხრებით შექმნილ ბუდეებში ჩასმულია სერდოლიკის, ქალცედონის, ფირუზისა და მინისებური პასტის ნაჭრები. მხოლოდ ფასკუნჯებია ოქროსფერში დატოვებული და მათი დეტალები საჭრისითაა გამოყვანილი.

ადრეანტიკური ხანის საქართველო აქტიურად იყო ჩამოყალიბებული მთელი მსოფლიოს კულტურული სამყაროს ცხოვრებაში. მეზობელ და შორეულ ქვეყნებთან გაცხოველებული აღებ-მიცემობის შედეგად უნდა იყოს მოხვედრილი საქართველოს ტერიტორიაზე ფერადი მინის ის უამრავი მძივი და მძივსაკიდი, რომლებითაც გავსებული იყო, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, საქართველოში, კერძოდ — ზემო რაჭაში აღმოჩენილი ამ ხანის სამარხები. ფიქრობენ, რომ ფერადი მინის ნაწარმით მთელ იმდროინდელ სამყაროს სირია-ფინიკია ამარაგებდა. ✓

ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებმა ბოლო მოუღო აქემენიდურ სპარსეთს — უკანასკნელ ძველადმოსავლურ მონარქიას. დაიწყო ახალი ხანა, ელინისტური ხანა, რომელმაც მოიტანა ახალი კულტურული ფენომენი — ელინიზმი. იგი შეეხო მთელ იმდროინდელ ცივილიზებულ სამყაროს, სოციალური და კულტურული ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროს. ელინისტური ხანის (ძვ. წ. IV-II სს). ოქროს ნივთები წინა ხანასთან შედარებით ნაკლები რაოდენობითაა წარმოდგენილი საქართველოში, მაგრამ ამის მიხედვითაც შეიძლება მსჯელობა იმაზე, რომ ქართულ ოქრომჭედლობაში ელინიზმი

აღინიშნა ფერადი ქვების ინკრუსტაციის ფართო გავრცელებით, რაც საყოველთაო მოვლენა იყო მთელი ელინისტური სამყაროსათვის.

ადრეანტიკური ხანის შემდეგ ქედური ხელოვნება საქართველოში თანმიმდევრულად ვითარდება და კიდევ ერთ, რიგით მესამე მძლავრ აღმავლობას განიცდის ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში, ე. წ. რომაულ ანუ გვიანანტიკურ ხანაში, როდესაც იბერიამ თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერების ზენიტს მიაღწია.

ოქრომჭედლობის ეს ახალი აღმავლობა ახალ სტილისტურ-მხატვრულ საფუძველზე მოხდა. გვიანანტიკური ხანა ქართულ ოქრომჭედლობაში პოლიქრომიის სრული ბატონობისა და აყვავების ხანაა. ელინიზმმა, რომლის ტენდენციების კანონზომიერი გაგრძელებაა გვიანანტიკური ხანის ქართული კულტურა, ოქრომჭედლობის წინაშე ახალი, ადრეანტიკური ხანისაგან განსხვავებული ამოცანა დასვა. ეს ამოცანა არსებითად ფერწერული იყო და მის გადაწყვეტაში ოქროს ერთ-ერთი და ზოგჯერ არცთუ მთავარი ადგილი ეკავა ფერად თვლებთან ერთად. მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ოქრომჭედლობის პოლიქრომია სიჭრელის ტოლფარდი არ არის. მათ ნაწარმში ფერთა რაოდენობა, როგორც წესი, განსაზღვრულია ორი ან სამი ფერით: ყვითელი ოქრო, წითელი ლალი ან სერდოლიკი და ფირუზი, რომელიც თავდაპირველად ცისფერი იყო და მხოლოდ დროთა განმავლობაში გამწვანდა. ფერად ქვებს ხშირად მათი მინის იმიტაციით სცვლიდნენ ხოლმე. გვიანანტიკური ხანისათვის, განსაკუთრებით კი მისი დასასრულისათვის დამახასიათებელია ბრტყლად გათლილი ქვებისა და მინის ინკრუსტაციის ხმარება.

ოქროს პოლიქრომიული სამკაული — დიადემები, საყუ-
რეები, ყელსაბამები, სამაჯურები და ბეჭდები — დიდი რაო-
დენობით აღმოჩნდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გა-
ჯახრილ მდიდრულ სამარხებში — მცხეთაში, ურბნისში, ზღუ-
დერში, ბორში, კლდეეთში, ციხისძირში, ურეკში, ახმეტა-
ში, სიონში, ყინვალში და სხვაგან. ოქრომკედლობის ქეშ-
მარიტი შედევრია II საუკუნის მეორე ნახევრის უნიკალური
ქვირული ყელსაბამი არმაზისხევის პიტახშთა VI სამარხი-
დან. ყელსაბამი წვრილი ალმანდინებით შემკული ექვსი ერ-
თნაირი ელემენტისა და ასეთივე ქვირული კოლოფისაგან შე-
დგება. უკანა პირი ოქროს თხელი ფირფიტაა. ყელსაბამი ძა-
ლიან მსუბუქია, ჰაეროვანი. იგი წვრილი ოქროს მავთულო-
ვანი რგოლებისაგანაა დამზადებული და, ერთი ცნობილი ხე-
ლოვნებათმცოდნის მოხდენილი თქმით, ნივთი კი არა, ელვა-
რებაა ყელს მოხვეული.

გვიანანტიკური ხანის საქართველოში ფართოდ ვრცელ-
დება ბერძნულ-რომაული წარმოშობის ჭრილა ქვები — ინ-
ტალიოები და კამეები, რომლებითაც უხვადაა შემკული ჩვე-
ნში აღმოჩენილი ბეჭდები და სხვა სამკაული. გემებზე უმე-
ტესად ბერძნულ-რომაული ღვთაებებია გამოსახული. უფ-
რო იშვიათია პორტრეტული გემები. მიუხედავად იმისა, რომ
ზოგიერთ გემაზე ქართველი დიდებულების პორტრეტებიცაა
გამოსახული, რაც უეჭველად მიუთითებს საქართველოშივე
ქვის მჭრელთა სახელოსნოების არსებობას, ეს ხელობა საქ-
ართველოში დიდად განვითარებული არასდროს ყოფილა. სა-
მაგიეროდ, შემოტანილ უცხოურ ჭრილა ქვებს შორის, რო-
მელთაც დიდი სიამოვნებით ხმარობდნენ ადგილობრივი ქა-
რთველი დიდებულები, გვხვდება გლიპტიკის ნამდვილი შედ-
ევრები, ისეთები, როგორიცაა ზღუდრის ყელსაბამის კამეა დე-

ლფინზე ამხედრებული ნერეიდას გამოსახულებით, წილკანში ნაპოვნ საკიდში ჩასმული ამეთვისტოს გემა.

ფერადი თვლებით შემკული ოქროს სამკაულის ძირითადი, თუ ერთადერთი არა, მომხმარებელი ქართლის სამეფოს არისტოკრატიული ზედაფენა იყო — სამეფო სახლის წარმომადგენლები, პიტიანშ-ერისთავები, მსხვილი მოხელეები და მათი ოჯახის წევრები. რიგითი მოსახლეობა კი კმაყოფილდებოდა ბევრად უფრო ღარიბული სამკაულით, რომელსაც მიუხედავად სიღარიბისა, მაინც არ აკლდა ესთეტიკური მიმზინველობა.

საყურადღებოა კიდევ ერთი გარემოება. თუ სამკაული, რომელსაც არისტოკრატია ატარებდა, პრინციპში არ განსხვავდებოდა რომაელ დიდებულთა სამკაულისგან, უბრალო ქართველი ხალხი ინახავდა ლითონის, განსაკუთრებით კი ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების ადგილობრივ უძველეს ტრადიციებს. ამ ტრადიციების სიცოცხლისუნარიანობის მეტყველი საბუთია გვიანანტიკური ხანის ქაშრის ბრინჯაოს აბზინდები, რომლებიც ასეულობითაა აღმოჩენილი საქართველოს ტერიტორიაზე.

III საუკუნის ბოლოსა და IV საუკუნეში პოლიქრომიული სტილის განვითარება თავის ლოგიკურ დასასრულს აღწევს ქართულ ოქრომჭედლობაში. ამ პერიოდის სამკაულში ოქრომ საბოლოოდ დათმო თავისი პოზიციები ბრტყლად გათლილი ფერადი თვლებისათვის. გახშირდა ქვის ნაცვლად ფერადი პასტის ინკრუსტაციის ზმარება. პირველად ამ ხანაში ვრცელდება ფართოდ მარგალიტიც. შორს აღარ იყო ის დრო, როცა ანტიკური ხანის მიწურულის ოქროს ტიხრული ინკრუსტაცია უნდა შეცვლილიყო ტიხრული მინანქრით, რომელიც შუა სა-

საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობის უმათავრესი მონაპოვა-
რია.

X-XIII საუკუნეები ერთიანი ფეოდალური საქართველოს ოქროს ხანად ითვლება. პოლიტიკურად და ეკონომიკურად მოღონიერებულ ქვეყანაში მანამდე არნახულ გაფურჩქვნას მიაღწია მეცნიერებამ, ლიტერატურამ და ხელოვნებამ. ქართველმა ხალხმა მაქსიმალურად გამოავლინა მთელი თავისი შემოქმედებითი პოტენციალი, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო ფეოდალური სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის პირობებში. ამ დროს აშენდა ძველ საქართველოში უდიდესი და უმშვენიერესი ხუროთმოძღვრული ძეგლები—ოშკი და ხახული, ბაგრატიის ტაძარი; ალავერდი და სვეტიცხოველი, სამთავრო და სამთავისი, ნიკორწმინდა... მოიხატა დავით გარეჯის მღვიმეები, ატენისა და ყინწვისის ტაძრების კედლები, შეიქმნა ქართული ლიტერატურის ყველა დროის უდიდესი ძეგლი — შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. X-XIII საუკუნეები აყვავების ხანაა ქართული ჰეიდური ხელოვნებისთვისაც და გაბედულად შეიძლება ითქვას რომ შუა საუკუნეებში მსოფლიოს არც ერთ ხალხს არ შეუქმნია ჰეიდრობის იმდენი ბრწყინვალე შედეგები, როგორც შექმნა ქართველმა ხალხმა. ბედიის ბარძიმი, ლაკლაკიძეებისა და ანჩის ხატები, ხახულის ტრიპტიქი და მესტიის ჯვარი, ტიხრული მინანქრის უამრავი მინიატურული ხატი და მედალიონი ძველი ქართული ოქრომჭედლობის უკანასკნელი და უდიდესი აღმავლობის მაუწყებელია. ექვს გარეშეა, რომ სამკაულის წარმოებასაც უნდა განეცადა აღმავლობა X-XIII საუკუნეებში. ამას ადასტურებს ქართული ეკლესიების კედლებზე შემონახული ფრესკული მხატვრობაც, მაგრამ ნივთიერად ამ ხანის ქართული სამკაული გასაოცრად მცირე რაოდენობით შე-

მოგვრჩა. თამარ მეფის სადა და უპრეტენზიო გულსაკიდი ჯვარი და რამდენიმე სხვა ნივთი — აი, რაც გადაურჩა ექვსასწლიანი ავბედობის ხანას, რომელიც დაეწყო საქართველოს XIII საუკუნეში. ანტიკური ხანის საუკეთესო ოქრომჭედლებსაც კი შეშურდებოდათ ფილიგრანის ის ვირტუოზული ფლობა, რომელიც გამოავლინა X საუკუნის უცნობმა ქართველმა ხელოსანმა, როცა იგი ქმნიდა შემდგომში ანჩისხატისათვის შეწირულ ოქროს ჭვირულ მედალიონებს. XI საუკუნის უნატიფესი ტიხრული მინანქარით შემკული ერთადერთი სამაჯური და იმავე გარნიტურის გულსაკიდი ფირფიტა თუ მოგცემს იმის საშუალებას, რომ წარმოვიდგინოთ შუა საუკუნეთა წარჩინებული ქართველი ქალის სამკაულის სილამაზე.

ფეოდალური საქართველოს საზოგადოების საშუალო და დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენელ ქალთა სამკაულზე ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნის დმანისის ნაქალაქარზე აღმოჩენილი პატარა განძი, რომელიც მის მფლობელ ქალს, ალბათ, რიგითი მოქალაქის მეუღლეს, ჩაუფლავს თავისი ეზოს კუთხეში მონღოლთა შემოსევის წინ, XIII საუკუნის ოციან წლებში. განძი შეიცავს სამკაულის მთელ გარნიტურს — საყურეებს, ყელსაბამს, სამაჯურებს. საინტერესოა, რომ დმანისური ვერცხლის სამაჯურების მსგავს ნივთებს ამ ბოლო დრომდე ამზადებდნენ დაღესტნელი ოქრომჭედლები. ეს კავკასიის ხალხთა კულტურული ერთობის კიდევ ერთი მაგალითია.

ფაქტიური მასალის უკიდურესი სიმცირის გამო, იძულებული ვართ გვერდი ავუხვიოთ XIV-XVIII საუკუნეებს, ქართველი ხალხის თავგამოდებული ბრძოლის პერიოდს ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისათვის. სისხლისაგან

დაცლილი, ეკონომიკურად დაუძღვრებული ქართველი ხალხი მაინც პოულობდა სულიერ ძალას შეენარჩუნებინა ეთნიკური და კულტურული თავისთავადობა მოძალბებული მუსლიმანური აღმოსავლეთის წინაშე. ამ ავბედით საუკუნეებს უკვალოდ არ გაუვლია საერთოდ ქართული წელოვნებისა, და მათ შორის ქართული ოქრომჭედლობისათვის, რომელმაც, ერთი მხრივ, სეფიანთა ირანისა და, მეორე მხრივ, ევროპული კულტურის ორმაგი გავლენა განიცადა. ამ ახალი კულტურული დონეების კვალთა ირანული ფირუზის მოჭარბება და მინანქრის მოხატულობის გაჩენა ქალის სამკაულშიც, რომელთა წარმოება კვლავ გამოცოცხლდა საქართველოში, როგორც კი ქვეყანამ სული მოითქვა დაუსრულებელი ომებისაგან, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ. ამ პერიოდის ტიპური ნაწარმია სამეგრელოს მთავრის მეუღლის, ალექსანდრე ქავკავაძის ასულ ეკატერინეს დიადემა, სამაჯურები, გულსაკიდი და საყურეები, რომელთაც, სამკაულის გარდა, ინსიგნიის მნიშვნელობაც ჰქონდა. როგორც ვხედავთ, წარჩინებული ქალის გარნიტურს ცვლილება თითქმის არ განუცდია ანტიკური ხანის შემდეგ.

ძველი ქართული ოქრომჭედლობის შინაგანი ძარღვი, რომელიც არ გაწყვეტილა ათეული საუკუნეების მანძილზე, უფრო უკეთ გამოსჭვივის XIX საუკუნის ყელსაბამ ჯვრებში, რომლებიც ლალითა და ზურმუხტითაა შემკული. მარგალიტის საკიდებიც უნებლიეთ ადრეულ შუა საუკუნეებს გვაგონებს.

ვასული საუკუნის დარბაისელი ქართველი ქალი მხოლოდ თავდახურული და ქართულ კაბაში გამოწყობილი წარმოგვიდგება. ქართული კაბა, რომელიც ქართველი ქალის დახვეწილი გემოვნების სიზბოლოდ იქცა, აუტილებლად ერთი ფე-

რისა უნდა ყოფილიყო, სადა. ოქრომკედლითა და ნაქარგობით მდიდრულად ამკობდნენ მხოლოდ კაბის გულისპირს. ქართულ კაბაში გამოწყობილი ქალის თავსაბურავს შუბლის ქინძისთავი ამშვენებდა.

XIX საუკუნის თბილისი ხელოსნობისა და მათ შორის ლითონის მხატვრული დამუშავების არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის უდიდეს ცენტრად რჩებოდა. ოქრომკედლებისა და „ვერცხლის“ ქუჩაზე ჩამწყრივებულ სახელოსნო-დარაბებში, ქართველი ხელოსნების გვერდით, ლეკი და სომეხი ოქრომკედლები ისხდნენ და მათი ერთობლივი შრომით იქმნებოდა ის განუმეორებელი კოლორიტის მქონე ნაწარმი, რომელსაც თბილისური ეწოდებოდა. ოქრომკედლობის მეორე მსხვილი ცენტრი საქართველოში, ახალციხე, ცნობილი იყო თავისი სწორუპოვარი ფილიგრანური ნაწარმით. ახალციხური ვერცხლის სარტყელები და ოქრო-ვერცხლის ჭვირული სამკაული დღესაც აღტაცებას იწვევს. /

სამკაულის წარმოების უძველესი ტრადიციები არ ჩამკვდარა სოფლად, მთასა თუ ბარში, სამეგრელოსა და იმერეთში, ხევსურეთსა და სვანეთში, სადაც ბოლო დრომდე მზადდებოდა ტრადიციული, სადა, მაგრამ ეპიკური სიდიადით აღსავსე სამკაული.

ვერცხლის სამკაულს ქართველი ოქრომკედლები ტრადიციულად სევადით ამკობდნენ. სევადი ყორნისფერი შავი მასაა, რომლითაც ივსებოდა ვერცხლის ნივთებზე ამოკვეთილი ორნამენტი. სევადი კეთილშობილი ლითონის შემკობის ნამდვილად ადგილობრივი, ქართული და კავკასიური ხერხია, რომლის ისტორიაც საქართველოში სულ ცოტა ორიათას წელს ითვლის. საქართველოში უძველესი სევადიანი ნივთები — ჟინვალსა და ცხინვალში აღმოჩენილი ვერცხლის თასე-

ბი — I-III საუკუნეებით თარიღდება. შუა საუკუნეებში ქედური ხატები ხშირად სევადით იყო ხოლმე შემკული. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც სევადს ოქროს ნივთების შესამკობადაც იყენებდნენ. ცნობილია ოქროს რამდენიმე ხატი, რომლებზედაც ორნამენტი სევადითაა გამოყვანილი. სევადითვეა შესრულებული ასომთავრული წარწერაც თამარ მეფის ოქროს გულსაკიდ ჯვარზე. ქართველი ოქრომჭედლები ტრადიციულად დღემდე ამზადებენ სევადიან ნივთებს. უაღრესად პოპულარულია სევადი დაღესტანშიც.

უნდა აღინიშნოს გიშრის სამკაულთა წარმოების უძველესი ცენტრიც იმერეთში, ოკრიბაში. ჯერ კიდევ ძვ. წ. VII საუკუნეში, თუ უფრო ადრე არა, დაიწყო ოკრიბის გიშრის ბუღბუბების ექსპლოატაცია და ოკრიბელებმა იმ შორეული ხანიდან მოკიდებული ჩვენს დრომდე მოიტანეს გიშრის დამუშავების საიდუმლო. ქართული გიშერი და გიშრის ნაწარმი საექსპორტო საგანს წარმოადგენდა და საქართველოდან შორს გადიოდა უკვე ანტიკურ ხანაში. გიშერი გამორჩეულად უყვარდა მუდამ ქართველ ხალხს და საუკუნეთა განმავლობაში გამოატარა ეს სიყვარული. გიშრის კეთილშობილური ელვარება შშვენვირად ესადაგებოდა ქართველი ქალის დახვეწილ გემოვნებას, მის სადა, უპრეტენზიო ჩაცმულობასა და სამკაულს.

ამით უნდა დავასრულოთ ქართველი ქალის სამკაულის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, თუმცაღა სამკაულის ისტორია არ დამთავრებულა. ქართველი კაცი მუდამ იყო, არის და იქნება ლითონის მხატვრული ნაწარმის თაყვანისმცემელი. კეთილშობილ ლითონთა მხატვრული დამუშავების ძველთაძველი ტრადიციები და საუკუნეთა მანძილზე ქართველ ხელოსანთა მიერ შექმნილი ძეგლები ის მდიდარი მემკვიდრეობაა,

რომელიც საბჭოთა საქართველომ მიიღო ძველი საქართველოსაგან და რომლის ბაზაზე. ახალი ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისად, ახალ ნიადაგზე აღორძინდა და ვითარდება თანამედროვე ქართული ოქრომკვებლობა.

**აღბოში მოხსენებული და გამოქვეყნებული ექსპონატების შესახებ და-
მატებითი ცნობების მიღება შეიძლება კვემოთ ჩამოთვლილი წიგნებიდან:**

1. შ. ი. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961.

2. ა. ი. აფაქიძე, გ. თ. გობეჯიშვილი, ა. ნ. კალანდაძე, გ. ა. ლომთათიძე, მცხეთა, I, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1955.

3. ე. მ. გოგაძე, თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია გენეზისი, თბ., 1972.

4. ვანი, I, არქეოლოგიური გათხრები 1947-1969, თბ., 1972.

5. ვანი, II, არქეოლოგიური გათხრები, თბ., 1976.

6. ვანი, III, არქეოლოგიური გათხრები, თბ., 1977.

7. გ. ა. ლომთათიძე, კლდეეთის სპაროვანი, თბ., 1954.

8. მ. ნ. ლორთქიფანიძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გაგები, II, თბ., 1958.

9. მ. ნ. ლორთქიფანიძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გაგები, III, თბ., 1961.


10. ა. ი. ქავაჩიშვილი, მხატვრული ხელოსნობა, ეურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, № 6, 1955.

11. Куфтин Б. А., Триалети. I, Опыт периодизации памятников, Тбилиси, 1941.

12. Смирнов Я. И., Ахалгорийский клад. Тбилиси, 1934.







ИЗДАВНА славилась красотой грузинка, а многие поколения неизвестных грузинских мастеров-ремесленников создавали удивительные произведения златокузнечества, которые некогда украшали ее, а ныне являются гордостью музейных хранилищ.

Эта книга познакомит вас с некоторыми образцами украшений, начиная с каменного века до настоящего времени. Большинство этих украшений создано на земле грузинской. Часть же привезена из иных стран. И те, и другие украшали местную женщину и, следовательно, отображают этапы развития ее эстетического вкуса.

Как известно, современные нации и народы являются продуктом иных, гораздо более поздних исторических эпох, чем каменный век. Однако единой картине развития женских личных украшений не доставало бы чего-то весьма важного, не покажи мы паряду с шедеврами античного и средневекового златокузнечества и простенькое украшение, созданное на заре истории человечества.

Несмотря на это, предлагаемый труд не претендует на полное и систематическое изложение всей истории развития украшений, и он, естественно, не может охватить великого множества древних украшений, хранящихся в фондах Государственного музея Грузии имени

С. Н. Джанашия и Государственного музея искусств Грузии. В книге представлены только отдельные, по возможности, лучшие, образцы типичных для каждой исторической эпохи женских украшений.

Истоки истории личных украшений теряются в глубине прошлых тысячелетий. Никто не сможет сказать с уверенностью, когда впервые попытался украсить себя первобытный человек.

Однако же с полным основанием можно утверждать, что самые ранние украшения человеку в готовом виде предоставляла сама природа. Это были зеленые растительные побеги и разнообразные цветы. Само собой разумеется, что листья и цветы не могут считаться украшениями в собственном смысле слова, хотя при этом не надо забывать, что обычай украшать себя естественными цветами и стеблями растений сохранился в обществе до сегодняшнего дня.

В связи с этим следует отметить, что и настоящие, рукотворные личные украшения по своей внутренней природе вообще весьма консервативны (хотя их внешние формы довольно легко меняются во времени), и корни многих современных типов и видов украшений уходят в глубокое, забытое прошлое.

В том же древнем каменном веке (палеолите) человек просверлил и надел на себя в качестве украшений зубы различных животных и ракушки моллюсков. Некоторые из ожерелий, изготовленных десятки тысяч лет тому назад, не утратили эстетической привлекательности даже и сегодня!

С началом медно-бронзовой эпохи (IV—II тысячелетия до н. э.) ведущее место в производстве украшений утверждается за металлами, в особенности за благородными металлами — серебром и золотом. Основными причинами этого послужили блеск и приятный цвет золота и серебра, а также их химическая стойкость и прак-

тически внешняя неизменяемость. Кроме того, оба названных металла, особенно же золото, характеризуются невероятно высокой пластичностью, что делает их незаменимым материалом в ювелирном деле.

Златокузнечество как ремесло со дня своего возникновения в значительной степени служило именно производству личных украшений, и поэтому история златокузнечества в основных своих моментах, в сущности, совпадает с историей развития украшений.

В бронзовом веке окончательно сформировались основные виды личных украшений (перстни-кольца, браслеты, нагрудные украшения, ожерелья, серьги и наlobные украшения — диадемы), и создано понятие гарнитура — одного набора различных украшений. Как понятие гарнитур, так и главные виды украшений сохранились до настоящего времени без существенных изменений. С течением веков менялся материал, из которого выделывались украшения, менялись их форма и стиль, однако неизменным оставался основной комплект личных украшений.

Украшение, очевидно, изначально имело двойственную природу, две стороны, две сущности — эстетическую и значимую.

С художественно-эстетической точки зрения единственное назначение украшения — сделать женщину красивее, и поэтому внешняя форма и характер украшений подвержены довольно быстрым и частым переменам в связи с изменчивостью капризной моды и эпохального идеала женской (и мужской) красоты.

Вторая, значимая сущность украшения гораздо более сложна и многолика, однако и более консервативна. Украшению с древнейших времен приписывалась функция оберега, функция защиты его носителя от всякого зла.

Считалось, что если человек в качестве украшения носит на себе изображения божества или же его атрибутов, то он находится под защитой данного божества и тем самым защищен от всякого дурного. В качестве оберегов часто употреблялись зубы различных животных. Особая сверхъестественная сила воздействия приписывалась некоторым минералам и т. д.

Украшение могло служить и отличительным знаком этнической или социальной принадлежности своего носителя, т. е. оно могло быть инсигнией. Украшения-инсигнии носили и мужчины. Было время, когда перстни, браслеты, ожерелья и серьги сделались столь же необходимыми элементами костюма знатного мужчины, как и женщины.

В средние века в странах, где господствовала христианская идеология, почетное место среди личных украшений занял крест — символ Иисуса Христа. Однако не были забыты и не потеряли своего значения также и древние верования, уходящие корнями в глубь тысячелетий. И наоборот, именно в средние века, в связи с развитием алхимии и астрологии, особенно четко была разработана символика камней, и каждому из знаков Зодиака был приписан какой-нибудь из минералов.

Аналогичные предрассудки в виде пережитков сохраняются до настоящего времени.

Грузия справедливо считается одним из древнейших в мире очагов металлургии и металлообработки. Недра Грузии богаты рудными ресурсами, а археологические данные свидетельствуют, что человек здесь впервые познакомился с металлом (медью) еще в IV тысячелетии до н. э. В III тысячелетии до н. э. племена, населявшие территорию современной Грузии, уже умели изготавливать медные сплавы (бронзу). В тот же период овладели они и другими металлами — свинцом, серебром и золотом. Серебро и золото, как уже отмеча-

лось выше, заняли почетное место в производстве личных украшений.

Рассмотрение древнейших предметов украшений из золота, которые обнаружены в курганах эпохи ранней бронзы, раскопанных на территории Грузии, показывает, что здешние ювелиры-златокузнецы в третьем тысячелетии до н. э. владели важнейшими приемами художественной обработки металлов — ковкой, литьем и пайкой. Головка золотой булавки из Триалети в виде двойной волюты украшена простеньким геометрическим орнаментом, который, возможно, нанесен пунсоном. А золотая булавка аналогичной формы из Бедени, по-видимому, литая. Булавки с волютообразными головками — один из древнейших и довольно распространенных видов украшений на территории Кавказа и Грузии, где найдено множество подобных булавок, изготовленных из меди или бронзы. Это обстоятельство весьма примечательно, т. к. показывает, что общество, населявшее территорию Грузии, уже в то время не было однородным в социальном и экономическом отношении. В обществе уже выделился высший, правящий слой, который отличался от основной массы населения также и своим экономическим положением. Представители высшего слоя носили золотые украшения и погребались в огромных индивидуальных курганах, иногда вместе со слугами — рабами и рабынями. Но массовое распространение имели медные украшения и, соответственно, небогатые грунтовые могилы. Социальные и экономические различия еще более углубились в последующие эпохи, когда здесь сформировалось классовое общество.

Первый значительный подъем златокузнечества наблюдается в Грузии в первой половине II тысячелетия до н. э. Блестящие образцы ювелирных изделий этого периода в большом количестве найдены при ра-

скопках богатых курганов эпохи средней бронзы в Триалети. Исторически эта эпоха была периодом формирования первых государственного типа крупных племенных объединений на территории Грузии, и в триалетских курганах с истинно царским великолепием были погребены именно вожди этих племенных объединений.

Даже мимолетный взгляд на триалетское золото убеждает нас, что это продукт высокоразвитого златокузнечества, достигшего уровня истинного искусства. В самом деле, почти все технические приемы, когда-либо применявшиеся в ювелирном деле, уже известны триалетским мастерам-ремесленникам. Триалетские златокузницы в совершенстве владели разнообразными приемами художественной обработки золотых изделий, такими, как зернь, или грануляция, т. е. украшение поверхности предметов напаянными на нее мелкими золотыми шариками, скань или филигрань, т. е. украшение предметов напаянной проволокой и т. д. Триалетские ремесленники умели изготавливать ажурные и полые предметы, довольно часто прибегали они и к инкрустации, украшая свои изделия вставками из самоцветов.

В археологических материалах, добытых в Триалети, соседствуют золотые предметы, изготовленные как с помощью простых, так и сложных и очень сложных технических приемов. То же самое можно утверждать и в отношении их художественного облика: в одних и тех же курганных комплексах встречаются стилистически значительно или даже резко различающиеся изделия — гладкие тонкостенные золотые подвески, с одной стороны и составное ожерелье полихромного стиля — с другой.

Такое положение вещей не дает нам права видеть в триалетских ювелирных изделиях картину постепен-

ного развития технических приемов металлообработки, тем более, что одна из самых замечательных золотых вещей — вышеупомянутое полихромное ожерелье, изготовленное с применением наиболее сложных приемов ювелирной техники, датируется XIX веком до н. э., относясь к самым древним предметам из триалетских курганов эпохи средней бронзы.

Основной частью триалетского ожерелья является кулон — плоский полосатый агат, с продольным отверстием, в золотой оправе, украшенной зернью и сердечковыми вставками. В состав ожерелья входят 14 полых золотых бусин различных размеров, в украшении поверхностей которых применены мелкая и крупная зернь, скань, пунсонный орнамент, цветная инкрустация. Прямую аналогию находит себе только триалетский кулон: в Уруке (древняя Месопотамия) найден совершенно такой же агат, оправленный тождественным образом и датируемый серединой III тысячелетия до н. э. Полые золотые бусы, украшенные, подобно триалетским, пунсонным орнаментом, имеются в материалах известного Майкопского кургана III тысячелетия до н. э.

Прием украшения поверхности ювелирных изделий цветными вставками засвидетельствован уже в т. н. Царских погребениях Ура (III тысячелетие до н. э.), и традиция полихромии (инкрустации) никогда после этого не прерывалась на Востоке. Что же касается грануляции, то следует отметить, что триалетское ожерелье—одно из наиболее древних изделий в мире с настоящей зернью. Примерно тем же самым временем датируются древнейшие предметы с грануляцией с Иранского нагорья, из Египта и Трои.

Триалетские спиральные височные подвески продолжают древние традиции полутораспиральных мед-

ных, серебряных и золотых височных украшений, широко распространенных на Кавказе в III тысячелетии до н. э. Известны и их переднеазиатские параллели.

Таким образом, уже XX — XV вв. до н. э. заметный прогресс металлургии и металлообработки и, с другой стороны, экономическое и социальное развитие племен, населявших территорию современной Грузии, способствовали столь высокому подъему златокузнечества — одной из значительнейших отраслей художественной обработки металлов, что оно достигает уровня искусства. Со своей стороны, это явление свидетельствует о том, что закавказские племена — предки грузинского народа — уже вышли на широкую историческую арену.

Развитие златокузнечества, так же, как и любая из других отраслей искусства, не было да и не могло быть прямолинейным, идущим по одной восходящей линии. В течение своей более чем четырехтысячелетней истории развития златокузнечество Грузии испытало несколько периодов ярко выраженного подъема, перемежающихся периодами относительного упадка. Характерно, что подъем искусства сопутствует периодам политического, социального и экономического усиления грузинских государств и племен.

